



KA040193982273317

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7 ; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ-ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 724/სა

08 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წლიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაქმნელი კომისიის შერჩევისათვის განსაზღვრული თარიღის გაგრძელების შესახებ

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18¹ მუხლის მე-3 პუნქტის, „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. განისაზღვროს დამატებითი ვადა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წლიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაქმნელი კომისიის კანდიდატებისთვის 3 (სამი) დღე და კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ განცხადებები არა უქვიანეს 2017 წლის 11 დეკემბერისა.
2. კომისიის წევრობის კანდიდატებმა წარმოადგინონ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2017 წლის 17 ნოემბრის N 688/სა ბრძანებით დამტკიცებული ბრძანების დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია და მონაცემები, ხოლო კომისიის წევრობის კანდიდატმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე წარმოადგინონ ინფორმაცია და მონაცემები კომისიაში მათი წარმომადგენლის შესახებ არაუგვიანეს კომისიის შერჩევის თარიღისა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა